

**როგორ განვავითაროთ სსსმ მოსწავლეების სოციალური
უნარები ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე**

თამარ გურგენიძე, ქეთი მაჭარაშვილი, ირმა ხარაზიშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის,
ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება (სკოლის ადმინისტრირება)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოდაძე, მონვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და მასში გამოყენებული ლიტერატურული მასალები დაცულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილის მიხედვით.

თამარ გურგენიძე
ქეთი მაჭარაშვილი
ირმა ხარაზიშვილი

26.06.2019

აბსტრაქტი

წარმოდგენილი პრაქტიკის კვლევა, რომელიც ჩატარდა სსიპ ქალაქ თბილისის №98 საჯარო სკოლაში, ეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებში სოციალური უნარების განვითარებას ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე.

კვლევის მიზანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის ისეთი ინტერვენციებისა და მეთოდების შემუშავება, როგორც საჭიროა სოციალური უნარების განსავითარებლად. ამისათვის თითოეული მეთოდი შემუშავდა მოსწავლეების საჭიროებებიდან გამომდინარე, რათა მათ შეძლებოდათ საკუთარი თავის რეალიზება. კვლევა ორიენტირებულია შემუშავებული მეთოდების განზოგადებასა და დანერგვაზე სხვადასხვა საგანში, რადგან კონკრეტული კვლევა ქართული ენისა და ლიტერატურის საგანში ჩატარდა.

კვლევა შედგება რამდენიმე ეტაპისგან, რაც მოიცავს დიაგნოსტიკურებს, ინტერვენციების დაგეგმვას, მათ განხორციელებასა და რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ თვისებრივი მეთოდები. ინტერვიუები ავიღეთ და ფოკუს ჯგუფთან ერთად ვიმუშავეთ როგორც ინტერვენციების განხორციელებამდე, ასევე მათი განხორციელების შემდგომ, რომელიც დაგვეხმარა შედეგების ეფექტიანობის დადგენაში. ინტერვენციების განხორციელების შემდგომ მივიღეთ განსხვავებული შედეგები სოციალური უნარების სწავლის მხრივ. მათი განპირობებული ფაქტორები დეტალურად არის განხილული კვლევის შედეგების ანალიზში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი, სოციალური უნარები, ინკლუზიური განათლება, სპეციალური პედაგოგი.

Abstract

Present practice research that has been conducted at LEPL Tbilisi №98 Public School concerning the development of social skills amongst persons with special educational needs on a basic level of general education.

The aim of the research is obtaining interventions and methods for children with special educational needs, that are required for development of social skills. For this purpose, each method has been developed depending on the needs of pupils in order to enable them to realize themselves. The research is oriented on generalization and implementation of developed methods in different subjects because this present research has been conducted in Georgian language and literature.

The research has several stages that includes diagnostics, planning and implementation of interventions and development of recommendations.

We used qualitative methods for this research. We took interviews and worked with target group before interventions as well as after interventions that helped us to establish effectiveness of results. After implementation of interventions, we received different results in learning of social skills. Determining factors are discussed in results of the research in detail.

Key words: person with special educational needs, social skills, inclusive education, special teacher.